



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 876

თბილისი

„07“ 11 2013 წ.

„ქართული, როგორც მეორე ენა“ საგნის X-XII დონეების სახელმძღვანელოების/სერიისათვის გრიფირების ეტაპების გავლისა და საფასურის გადახდის გარეშე გრიფის მინიჭების თაობაზე

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „3¹⁰“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის N30/6 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-9¹ მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე და სკოლის სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების კომისიის 2013 წლის პირველი ნოემბრის N511025 რეკომენდაციის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 12 სექტემბრის N376414 მომართვისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 4 ნოემბრის N512420 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიენიჭოს გრიფი „ქართული, როგორც მეორე ენა“ საგნის ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ X-XII დონეების სახელმძღვანელოებს/სერიას;

2. „ქართული, როგორც მეორე ენა“ საგნის X-XII დონეების გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიის ელექტრონული ვერსიები შენახულ იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) გრიფირების სამმართველოში, ასევე, განთავსდეს სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mes.gov.ge);

3. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან „ქართული როგორც მეორე ენა“ საგნის ნაბეჭდი ეგზემპლარის/ეგზემპლარების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენის შემთხვევაში, მათი მიღება-ჩაბარება დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) გრიფირების სამმართველოს;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

თამარ სანიკიძე



დონე	სახელმძღვანელოს დასახელება	სახელმძღვანელოს სახეში და მათი ავტორები			
		მოსწავლის წიგნი	მოსწავლის რვეული	მასწავლებლის წიგნი	მასწავლებლის წიგნის CD
X დონე	"ქართული ენა" 10	მაია მელიქიძე, თინათინ ცერაძე	მაია მელიქიძე, თინათინ ცერაძე	მარიკა სიხარულიძე	მაია მელიქიძე
XI დონე	"ქართული ენა" 11	მაია მელიქიძე, თინათინ ცერაძე	მაია მელიქიძე, თინათინ ცერაძე	მარიკა სიხარულიძე	მაია მელიქიძე
XII დონე	"ქართული ენა" 12	მაია მელიქიძე, თინათინ ცერაძე	მაია მელიქიძე, თინათინ ცერაძე	მარიკა სიხარულიძე	მაია მელიქიძე